

თათული ღვინიანიძე

**აღიარება
ხელისგულზე**



მხატვარი

ნინო მორბედაძე

სარედაქციო ჯგუფი

ნინო ხარაშიშვილი

მარინა ინანიშვილი

თამარ არათანაშვილი

თამარ ჯანთიშვილი

ნატალია ახვლედიანი

შორენა დათაშვილი

© გამომცემლობა პალიტრა L, 2022

ყველა უფლება დაცულია

მისამართი: თბილისი, იოსებოძის ქ. 49

 238-38-71

 book@palitra.ge

 www.palitra.ge

ISBN 978-9941-35-059-7

კონკურსი „გახლი ბესტსელერის ავტორი“ მკითხველის რჩეული

ეს ყველაფერი ისეა, როგორც ცხოვრებაში, ოღონდ ცოტა უფრო მკაცრად, ცოტა უფრო ღიად, ცოტა უფრო თავისუფლად.

ერთი შეხედვით, ყველაფერი ნაცნობია – გარემო, სახეები, სიტუაციები, მაგრამ ხასიათებია ძნელი, რთული, შეუცნობელი.

პერსონაჟები ერთმანეთს ატყუებენ, ემუქრებიან, დასცინიან; გაშმაგებით უნგრევენ ერთმანეთს იმედის კოშკებს და შემდეგ ნანგრევებში რაღაცას ეძებენ და ეს რაღაც, თუ არ ვცდები, სიყვარულია, რომელიც მათში ჯერ კიდევ ბჟუტავს, როგორც ნაღვერდალი მინავლებულ კერიასში.

ბოლოს სიყვარული თავის ადგილს უბრუნდება. ამის გარანტი არის ავტორი, რომელმაც იცის, რას აკეთებს, როგორ და რისთვის.

*ივანე ამირხანაშვილი
ლიტერატორი, კონკურსის ჟიურის წევრი*

* * *

ჩვენ ყველანი, ძალიან განსხვავებულები, მაინც როგორ ვგავართ ერთმანეთს! ვეძებთ... ვეძებთ... საკუთარ თავს... ადგილს სამყაროში და ბედნიერებას, რომელიც რატომღაც ყოველთვის ხელიდან გვისხლტება. ვცდილობთ, ჩვენს არსებაში აყვირებული, ატირებული, გაბრაზებული, გაბოროტებული, ეჭვიანი, შეშინებული, ხანაც ბედნიერი „მეები“ გავაერთიანოთ და პიროვნულ ჰარმონიას მივაღწიოთ.

აღამიანებს დაეკარგათ ერთმანეთთან მისასვლელი გზები, დარჩნენ საკუთარი თავის ტყვეობაში... მათი ურთიერთობებიც შუშასავით მსხვრევადი გახდა. აღამიანებიც მყიფენი არიან... აი, როგორ დავინახე თათული ღვინიანიძის რომანი „ალიარება ხელისგულზე.“

*ნინო მორბედაძე
მხატვარი, ყდის ილუსტრატორი*

* * *

სამწერლო ასპარეზზე შებიჯება ომში ჩაბმის ტოლფასია.
შედიხარ ამ ომში რიგით ჯარისკაცად და გული გამაღებით
გიცემს...

ხდება, რომ – ჯერ არ იცი, რაზე ხარ წამსვლელი, რა შეგიძლია,
ეჭვობ... ხარ კი შინაგანად გმირი? ბუდობს შენში გენერალი? შეგიძ-
ლია, მოკვდე ამ საქმისთვის?

ხდება ისეც, რომ, შებიჯებისთანავე, გენერლობაზე იწყებ ოცნებას
და დარწმუნებული ხარ, რომ გმირობა შენი მოწოდებაა.

ხდება, რომ სუსტი გეგონა თავი და, შენთვისვე მოულოდნელად,
სრულიად ახალ ძალას აღმოაჩენ საკუთარ თავში.

ისიც ხდება, რომ ბედი და იღბალი წყალობას არ მოგაკლებს და,
რადაცნაირად, იოლად გებოძება მაღალი ჩინი...

ომია და ყველაფერიც ხდება. შესაძლოა, ბრძოლის ველიდან
გაიქცე: გააჩნია მაჩვენებლებს ნიჭის, ნებისყოფის, გამძლეობისა და
საქმის სიყვარულის მაჩვენებელთა სკალაზე.

მოკლედ, ომია მწერლობა, მწერალი კი – ჯარისკაცი. ოღონდ ეს
მოხალისეების ომია. თავისუფალი არჩევანია: მინდა და ვომობ!

და მოწინააღმდეგე ვიღაა ამ ომში? ვის ეომები? რა თქმა უნდა,
საკუთარ თავს, და სიცრუე-სიყალბეს საკუთარ ნაფიქრალ-ნაწერ-
ნასროლში. სიცრუეს – და არა გამონაგონს.

ძნელი ომია, ძნელზე ძნელი ომია მწერლობა. და ამ ომში გამარ-
ჯვება ჭეშმარიტად რჩეულთა ხვედრია.

ერთხელაც გავიმეორებ: ამ ომის ჯარისკაცობა საკუთარი ნებისა
და მოხალისეობის ამბავია. ჰოდა, თუ მაზოხისტი არ ხარ, რა მიგარ-
ბენინებს? რატომ უნდა შევარდე შიგ? მართლაც, გაურკვეველი და
აუხსნელია...

ხოლო „მაზოხისტების“ ნაკადი არ წყდება... მოდიან, მოედინე-
ბიან, ლიტერატურული კონკურსები კი ბუკ-ნადართ, დაფდაფებითა
და საყვირებით მიაცილებენ ბრძოლის ველისაკენ.

და აი, მე – თავადაც ერთ „მაზოხისტს“, ან უკვე „სტაჟიან“ მოხა-
ლისესა და ვეტერანს – ხელთ მაქვს თათული ღვინიანიძის „ადი-
არება ხელისგულზე“, საკმაოდ მსხვილკალიბრიანი, 400-გვერ-
დიანი რომანი და მევალება, რომ სამწერლო ომში სულ ახლახან
შევარდნილი სრულიად ახალგაზრდა და გულანთებული ჯარისქა-
ლის მწერლური სტრატეგია-ტაქტიკა თუ აღჭურვილობა შევისწავლო
და დასკვნა დავდო.

დავინყებ აღჭურვილობით. თათული ღვინიანიძეს სიტყვიერი ტყვია-ნამლის დიდი მარაგი აქვს და, შეიძლება ითქვას, რომ ზუსტი მსროლელიც გახლავთ. მისი ცალკეული გამონათქვამები, ფრაზები და დაკვირვებები, თითქმის ყოველთვის, მიზანში ხვდება, მყისიერად ანადგურებს სიცრუე-სიყალბის ნებისმიერ ადგილსამყოფელს და დამაჯერებლობისა და გულწრფელობის ფერად შუშხუნებად იქცევა.

თათულის საბრძოლო-სამწერლო სტრატეგია მისი მგზნებარე, ლამის უმართავი მწერლური ტემპერამენტისათვის თითქოსდა შეუსაბამო, მოულოდნელი სიდინჯითაა მოფიქრებული და აწყობილი, რაც ერთგვარ კალაპოტში აქცევს მის სტიქიურ ფანტაზიებსა და თხრობის ნიაღვრებს.

ახლა – ტაქტიკა. თათული ღვინიანიძისათვის დამახასიათებელია სისწრაფე, ელვისებური სამწერლო ქმედება და თხრობის სიმძაფრე. მას აშკარად აქვს მკითხველის აყოლიება-გაყოლიების უნარი; ეხერხება სწრაფ შეტევაზე გადასვლა, მოულოდნელი სვლებით მკითხველის დაბნევა. იგი იშვიათად ტოვებს საკითხს ღიად, იშვიათად სვამს მრავალწერტილს, რადგან მისი ტაქტიკური არჩევანია საკითხის ბოლომდე ამოწურვა, კონკრეტული ქმედებები და წერტილის დასმა.

გზადაგმა, სასურველი შედეგის მისაღწევად, ავტორ-მებრძოლი არ ერიდება გაბედულ, მოგჭერ თავხედურ მანევრებს და ალაგ-ალაგ უხამსი სიტყვა-თქმებისა და ფრთიანი უწმანური გამონათქვამების გამოყენებაზეც არ ამბობს უარს.

დასკვნის სახით, შემოძლია ვთქვა: სამწერლო ომში ახალჩამული რიგითი ჯარისქალი თათული ღვინიანიძე არის გაბედული, გამარჯვებაზე ორიენტირებული, გენერლობაზე ოცნებით მოტივირებული მებრძოლი. წარმოუდგენლად მესახება ბრძოლის ველიდან მისი გაქცევა.

ვთვლი, რომ იგი სამწერლო ასპარეზის მებრძოლადაა დაბადებული და დარწმუნებული ვარ, რომ მომავალშიც მრავალ საბრძოლო ჯილდოს მოიპოვებს.

ამჯერად იგი ლიტერატურული კონკურსის „გახდი ბესტსელერის ავტორი“ ერთ-ერთი გამარჯვებულია, რაც მე, როგორც მენტორს, ძალიან მახარებს.

თამრი ფხაკაძე

მწერალი, თათული ღვინიანიძის მენტორი

თათული ღვინიანიძე

**აღიარება
ხელისგულზე**

ძლიერ ქალებს...

სუსტ ქალებს...

უხეშ ქალებს...

ნაზ ქალებს...

რეალისტ ქალებს...

მეოცნებე ქალებს...

თბილ ქალებს...

ცივ ქალებს...

რომანტიკულებსა და არარომანტიკულებს...

გამოცდილებსა და გამოუცდელებს...

მამაცებსა და მხდალებს...

ყველას...

ვუძღვნი ამ წიგნს.

ნაწილი პირველი

თავი პირველი

დედაჩემი რომ არა, დილაობით ვერ გავიღვიძებდი (ჩემს „მალვიძარას“ უტკბესი ხმა ჰქონდა). ასჯერ მაინც გავიგონე საკუთარი სახელი და, როგორც იქნა, თვალი გავახილე.

პირველად ლურჯად აჭრელებული ფურცელი დავინახე, მერე – ძალიან არეული ოთახი. დამძიმებული თავი წამოვწიე და მთელი ღამის ნამუშევარი გადავიკითხე. კმაყოფილი დავრჩი.

– ნინა! ნინა! – დედას პასუხი არ გაუცია. – დედიკო!

– მეძახი, რადა?! – არ უყვარდა, სახელით რომ მივმართავდი.

– ყავას გამიკეთებ?

– ურიგო არ იქნებოდა, თავად თუ ჩამობრძანდებოდი! ახალგაზრდა ხარ და არაფერი გიჭირს, შენით რომ მოიდუღო.

– ანუ არა?

– დაიცადე, წყალს ვადუღებ!

ხუთ წუთში ნინამ ფინჯნით ხელში შემომაკითხა. საძინებელს თვალი მოავლო და უკმაყოფილება ვერ დამალა:

– ეს ოთახი ისევ დასალაგებელია?!

– როგორც ხედავ, დედაჩემო.

– მე აღარ დაგილაგებ, აწი რაც გინდა, ის გიქნია! – კარგი, – ლოყაზე ვაკოცე. – იცოდე, ლოგინის ქვეშ გასარეცხი ტანსაცმელი მაქვს შეგდებული. – შევასხენე და ჭიკა გამოვართვი.

ნინაჩკამ ბუბლუნი დაიწყო, მაგრამ უკვე აღარ ვუსმენდი. ცალ ხელში ყავითა და მეორეში – ფურცლებით, ფანჯრის რაფაზე ვიჯექი და მთელი ღამის ნამუშევარს ვკითხულობდი.

„თუ ჩვენს უნივერსიტეტში დამანახებთ გოგოს, რომელსაც გოგა ნიყარაძის გრძივი და დამაზი ფეხები არ შყრს ან ფერფლანში მისთვის თუბი ერთხელაც არ გაუყოფებია, გავიმხვდით ჩემს ვინაობას (მაგრამ, ვიცი, რომ ასეთი არავინაა და უსაფრთხოდ ვგრძნობ თავს).“

პირველად, გოგა რომ ვნახე, ხეგბურთს თამაშობდა და სამი ზომი მერდი ყხვოდა. ატბათ, ამიგომ დამამახსოვრდა და ჩემი უმყრადობის კომპლექსი არაფერ შუაშია... რომ იძახიან, საქაღომი დაბერიდი აქვსო, ცყვილია. უბრალოდ, ჯარჯიშობს. ისე, ჯარჯიში არც ჩვენ გვანყვებდა.

უცოცა გამოვიძიე და გაჯარჯიე, რომ ჰპასვიყური ოპირაღია არ გაუყოფებია. შენ, მკითხველო, ატბათ, გიყირს, ამ გოგოს სხვისი სამედიცინო ისტორიის ქვეყანა ან როგორ არ დაფხარა, ან მასზე ხედი როგორ მიუწვდაო. პირველ შეხიბვაზე დაგვინებ: კარგი, მე გიყი და მოციდიე ჯარ, მაგრამ შენ რაღას ჩასჩერებხარ ამ ჩემს „გაყოფი-გაგბა“ გაზრთს-მეოქი. რაც შეფხება ნჯდომას... იმედი, საქართველოში პერსონაღური ინფორმაციის დაღჯასთან დაქაღმირებით, რეჯოღჯიღია მაღე მოხდაღბა“.

„არამკითხე მოამბეო, მიტყიბე და მიაგდეო.“ – ბავშვობაში ხშირად მიმეორებდა დედა. აშკარად, ვერ ავითვისე ეს გაკვეთილი. მაგრამ, იქნებ, საკუთარ თავზე უნდა გამოსცადო ამ „მიტყიბვის სიმწარე“, ჭკუა რომ ისწავლო? საერთოდაც, რაღა ადამიანი ხარ, თუ სხვის შეცდომებზე სწავლობ? ამ შემთხვევაში, კარგავ უდიდეს სიამოვნებას, რომლის მონიჭებაც მხოლოდ დაცემის შემდეგ წამოდგომას შეუძლია!